მალხაზ მაცაბერიძე

ჰელფორდ მაკინდერის გეოპოლიტიკური კონცეფცია



თბილისი
2015

სარჩევი

შესავალი 4
"ისტორიის გეოგრაფიული ღერძი" 4
სამი გეოპოლიტიკური პერიოდი 7
რუსეთის პოზიციების შეფასება 9
პოლიტიკური იდეალიზმის წინააღმდეგ 10
"ჰართლენდი" 11
"მსოფლიო კუნძული" 12
ჰართლენდის დასავლეთი საზღვარი 12
გეოპოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფორმულათა ურთიერთმიმართება 13
ევრაზიული კავშირის წინააღმდეგ 13
ვერსალის სისტემა 15
"მეორე გეოგრაფიული კონცეფცია" 16
ჰართლენდის ცნების ევოლუცია 17
მაკინდერის კონცეფცია ისტორიულ კონტექსტში 18
ქრესტომათია 19
ჰელფორდ ჯორჯ მაკინდერი. ისტორიის გეოგრაფიული ღერძი 19

შესავალი

სერ ჰელფორდ ჯ.მაკინდერის (1861-1947) დამსახურება უაღრესად დიდია სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის გეოპოლიტიკური გააზრების საქმეში. მაკინდერის გეოსტრატეგიულმა კონცეფციამ განსაკუთრებით დიდი და ძლიერი გავლენა მოახდინა გეოპოლიტიკის შემდგომ განვითარებაზე. მაკინდერი სავსებით მართებულად შეიძლება მივიჩნიოთ პირველ მეცნიერად, რომელმაც გლობალური გეოპოლიტიკური მოდელი ააგო.

გეოგრაფიული განათლების მიღების შემდეგ, 1887 წლიდან მაკინდერი ოქსფორდში ასწავლიდა, სანამ არ დაინიშნა ლონდონის ეკონომიკური სკოლის დირექტორად. 1910-1922 წლებში იყო თემთა პალატის წევრი, ხოლო შუალედში (1919 წ. დეკემბერი-1920 წ. იანვარი) ბრიტანეთის ელჩი (წარგზავნილი) სამხრეთ რუსეთში.

მაკინდერის კონცეფცია ასახავდა ინგლისის მმართველი წრეების შეშფოთებას კონტინენტური სახელმწიფოების, პირველ რიგში რუსეთის იმპერიის ძლიერების ზრდის და ბრიტანეთთან ამ ქვეყნების წინააღმდეგობების გაღრმავების გამო. 1902 წელს მაკინდერი წერდა: "სხვა იმპერიებს ქონდათ თავისი დასასრული, ეს შეიძლება მოუვიდეს ბრიტანეთსაც".

"ისტორიის გეოგრაფიული ღერძი"

1904 წლის 25 იანვარს სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე მაკინდერი გამოვიდა მოხსენებით "ისტორიის გეოგრაფიული ღერძი", რომელიც იმავე წელს გამოქვეყნდა "გეოგრაფიულ ჟურნალში". ამ მოხსენებაში მაკინდერმა ჩამოაყალიბა ისტორიისა და გეოგრაფიის ურთიერთკავშირის საკუთარი, მეტად ორიგინალური ხედვა. აღნიშნულმა კონცეფციამ გარკვეული ცვლილებები განიცადა 1919 და 1943 წლებში.

"ისტორიის გეოგრაფიული ღერძი" შეიძლება მივიჩნიოთ მთავარ გეოპოლიტიკურ ტექსტად ამ დისციპლინის ისტორიაში,

რადგანაც მასში განვითარებულია "პოლიტიკური გეოგრაფიის" ყველა ადრინდელი გეოპოლიტიკური იდეა და ჩამოყალიბებულია ამ დისციპლინის რამდენიმე საკვანძო ცნება.

მაკინდერის ძირითადი იდეის არსი მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: მსოფლიო პოლიტიკასა და ისტორიაში ღერძული რეგიონის როლს ასრულებს ევრაზიის უდიდესი შიდა სივრცე და ამ სივრცეზე ბატონობა შეიძლება მსოფლიოზე ბატონობის საფუძველი გახდეს.


მაკინდერი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოსათვის ყველაზე ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაა შუაში, ცენტრში განლაგება. ცენტრალურობა - შეფარდებითი ცნებაა და ყოველ კონკრეტულ გეოგრაფიულ კონტექსტში ის შეიძლება იცვლებოდეს. პლანეტარული თვალსაზრისით მსოფლიოს ცენტრში მდებარეობს ევრაზიის კონტინენტი, ხოლო მის ცენტრში - "მსოფლიოს გული", რომელსაც მოგვიანებით "ჰართლენდი" უწოდა. ესაა ევრაზიის კონტინენტური მასივების ერთობლიობა. იგი ყველაზე ხელსაყრელი გეოგრაფიული პლაცდარმია მსოფლიოზე კონტროლის დასამყარებლად.

მაკინდერის აზრით, მსოფლიოს გეოპოლიტიკური რუქა შეიძლება წარმოდგენილი იქნას კონცენტრული წრეების სისტემის მეშვეობით. პლანეტარული სივრცის იერარქიზაციის შედეგად მან გამოყო სამი ძირითადი ნაწილი:

"ღერძული ზონა" (**Ивотрија**), რომელიც მოიცავს ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის და ორი შიდა ზღვის - კასპიისა და არალის მდინარეთა აუზებს;

"გარეთა ნახევარმთვარე" (**Ужурчрсцентр**), რომელიც შედგება აშშ-ის, ინგლისისა და იაპონიის ტერიტორიებისაგან;

"შიდა ნახევარმთვარე" (**Ињерчрсцентр**), რომელიც მოქცეულია პირველ ორს შორის (ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და ა.შ.).



მაკინდერის გეოპოლიტიკური სქემა, 1904

მაკინდერის თანახმად, "შიდა ნახევარმთვარე" წარმოადგენს ცივილიზაციის ყველაზე ინტენსიური განვითარების ზონას. ეს შეესაბამება ისტორიულ ჰიპოთეზას იმის თაობაზე, რომ ცივილიზაცია თავდაპირველად წარმოიშვა მდინარეებისა და ზღვების სანაპიროებზე (ე.წ. "პოტამიური თეორია"). უნდა ითქვას, რომ ეს თეორია ყველა გეოპოლიტიკური კონსტრუქციის არსებითი მომენტია.

შემდეგ მოდის გარეთა წრე: "გარეთა, ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარე". ეს ზონა მთლიანად გარეთაა (გეოგრაფიული და კულტურული თვალსაზრისით) მსოფლიო კუნძულის მატერიკული მასის მიმართ.

მაკინდერის აზრით, ისტორიის მსვლელობა შემდეგი პროცესებითაა დეტერმინირებული: ღერძული ზონიდან მის პერიფერიაზე მუდმივ ზეწოლას ახორციელებენ ე.წ. "ხმელეთის ყაჩაღები". განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ეს მონღოლთა დაპყრობებში აისახა. მაგრამ მათ წინ უსწრებდნენ სკვითები, ჰუნები, ალანები და ა.შ.

ცივილიზაციები რომლებიც მომდინარეობენ "ისტორიის გეოგრაფიული ღერძიდან", მაკინდერის აზრით, ატარებენ "ავტორიტარულ", "იერარქიულ", "არადემოკრატიულ" და "არასავაჭრო ხასიათს". ძველ მსოფლიოში ის განსახიერებულია დორიული სპარტის და ძველი რომის მსგავს საზოგადოებებში.

გარედან, "კუნძულოვანი ნახევარმთვარის" რეგიონებიდან მსოფლიო კუნძულზე ხორციელდება ე.წ. "ზღვის ყაჩაღების", ანუ "კუნძულის მცხოვრებთა" ზეწოლა. ესაა კოლონიური ექსპედიციები, რომლებიც არაევრაზიული ცენტრიდან მომდინარეობენ და ესწრაფვიან კონტინენტის შიდა სივრცეებიდან მომდინარე სახმელეთო იმპულსების გაწონასწორებას. "გარეთა ნახევარმთვარის" ცივილიზაციებისათვის დამახასიათებელია "სავაჭრო" ხასიათი და პოლიტიკის "დემოკრატიული ფორმები". ძველ დროში ასეთი ხასიათისა იყო ათენის სახელმწიფო და კართაგენი.

ამ ორ პოლარულ ცივილიზაციურ-გეოგრაფიულ იმპულსს შორის მდებარეობს "შიდა ნახევარმთვარე", რომელიც, არის რა ორბუნებიანი და მუდმივად განიცდის საპირისპირო კულტურულ გავლენას, ყველაზე მოძრავი იყო და ამის შედეგად ცივილიზაციის პრიორიტეტული განვითარების ადგილი გახდა.

ისტორია, მაკინდერის თანახმად, გეოგრაფიულად ბრუნავს კონტინენტური ღერძის გარშემო. ეს ისტორია ყველაზე ნათლად შეიგრძნობა სწორედ "შიდა ნახევარმთვარის" სივრცეში, მაშინ როდესაც ჰართლენდში გამეფებულია "გაყინული" არქაიზმი, ხოლო "გარეთა ნახევარმთვარეში" - რაღაც ცივილიზაციური ქაოსი.

სამი გეოპოლიტიკური პერიოდი

მაკინდერი მსოფლიოს მთელ გეოპოლიტიკურ ისტორიას სამ პერიოდად ყოფს:

1. კოლუმბამდელი ეპოქა - ამ პერიოდში ისტორიის ღერძული რეგიონის სახით გამოიყოფა ცენტრალური აზია, საიდანაც მომთაბარე ხალხები (ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში - მონღოლები)

თავის გავლენას ავრცელებდნენ ევროპისა და აზიის მნიშვნელოვან ნაწილზე. ამ პერიოდში ევრაზიის პერიფერიაში მცხოვრები ხალხები "ისტორიის გეოგრაფიული ცენტრიდან" მომდინარე ძალების მხრიდან დაპყრობის მუდმივი საფრთხის ქვეშ ცხოვრობდნენ.

2. კოლუმბის ეპოქა - დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდში ძალთა თანაფარდობა ოკეანისპირა ქვეყნების სასარგებლოდ შეიცვალა. ამ პერიოდში "შიდა ნახევარმთვარის" (სანაპირო ზონების) მცხოვრებნი იპყრობდნენ პლანეტის მანამდე უცნობ ტერიტორიებს, ისე რომ არსად სერიოზულ წინააღმდეგობას არ წაწყდომიან.

3. კოლუმბის შემდგომი ეპოქა - დაუპყრობელი მიწები აღარ არსებობს. ცივილიზაციათა დინამიური პულსაცია გარდუვალად განწირულია შეტაკებისთვის, სივრცის "ნაკლებობა" დედამიწის ხალხებს მსოფლიო სამოქალაქო ომში ითრევს.

მაკინდერის აზრით, XX ს. დამდეგამდე ძირითადი მეტოქეები "ღერძული ზონისა" და "გარეთა ნახევარმთვარის" ქვეყნები დაახლოებით აწონასწორებდნენ ერთმანეთს. საზღვაო სახელმწიფოებს ძალა არ ქონდათ მასობრივი შეჭრის განსახორციელებლად ევრაზიაში (ფაქტობრივად რუსეთში), დაეპყროთ და შეენარჩუნებინათ მისი ტერიტორიის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონები. მაგრამ თვითონაც გარანტირებულნი იყვნენ ევრაზიის უპირატესად სახმელეთო ძალების თავდასხმისაგან როგორც საკუთარ ტერიტორიაზე, ისე თავიანთ კოლონიურ სამფლობელოებზე (მაგალითად ინდოეთზე). მაგრამ რკინიგზების (შემდგომში - საჰაერო კომუნიკაციებისაც) სწრაფმა განვითარებამ ევრაზიაში, მათ შორის "ღერძულ ზონაში", მთელი "მსოფლიო კუნძულის" (ასე უწოდებდა მაკინდერი ევრაზიასა და აფრიკას) მასშტაბით შექმნა ძალთა თანაფარდობის შეცვლის პერსპექტივა. ეს განპირობებულია პირველ რიგში იმით, რომ კონტინენტურ სახელმწიფოებს (რუსეთს) შესაძლებლობა ეძლევათ აითვისონ ციმბირის უდიდესი სიმდიდრენი,

რაც მძლავრი ფლოტის შექმნის მატერიალურ საფუძველს ქმნიდა, ისევე როგორც აჩქარებდა სახმელეთო ჯარების სწრაფ გადასროლას ერთი სტრატეგიული მიმართულებიდან მეორეზე.

რუსეთის პოზიციების შეფასება

მაკინდერი თვლიდა, რომ ნებისმიერი კონტინენტური სახელმწიფო, ეს იქნებოდა რუსეთი, გერმანია თუ ჩინეთი, თუკი გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებდა ღერძულ რეგიონში, საფრთხეს შეუქმნიდა საზღვაო ქვეყნების და, პირველ რიგში, ბრიტანეთის სტრატეგიულ ინტერესებს.

1904 წელს ბრიტანეთისთვის ყველაზე სახიფათო კონტინენტურ სახელმწიფოდ მაკინდერი რუსეთს განიხილავდა. მისი აზრით, რუსეთს სტრატეგიული თვალსაზრისით წამყვანი პოზიციები ეკავა: "რუსეთს მსოფლიოში ისეთივე ცენტრალური სტრატეგიული პოზიცია უკავია, როგორც გერმანიას ევროპის მიმართ. მას შეუძლია თავდასხმის განხორციელება ყველა მიმართულებით და ასევე შეიძლება თავად იქცეს თავდასხმის ობიექტად ყოველი მხრიდან, გარდა ჩრდილოეთისა. მისი სარკინიგზო შესაძლებლობების განვითარება მხოლოდ დროის საკითხია" ("ისტორიის გეოგრაფიული ღერძი").

მაკინდერს განსაკუთრებით აღელვებდა, რომ რუსეთისა და გერმანიის გარკვეული გეოგრაფიული მსგავსება (კონტინენტურობა) მათ შორის კავშირის შექმნას შეუწყობდა ხელს. ისინი გაბატონდებოდნენ ჯერ ევრაზიაში, შემდეგ კი მთელ "მსოფლიო კუნძულზე" და მის რესურსებს მსოფლიოზე თავიანთი ბატონობის დასამყარებლად გამოიყენებდნენ.

მაკინდერის აზრით, მსგავს ექსპანსიას საზღვაო სახელმწიფოები ვერ გაუძლებდნენ. მათ ორი "ბუნებრივი სისუსტე" გააჩნიათ: აკლიათ ბუნებრივი რესურსები და საზღვაო კომუნიკაციებზე არიან დამოკიდებულნი, რომელთა მწყობრიდან გამოყვანაც ადვი-

ლად შეიძლება. აქედან გამომდინარე, მაკინდერი ანგლოსაქსური გეოპოლიტიკის მთავარ ამოცანად "ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" გარშემო სტრატეგიული კავშირის შექმნას მიიჩნევდა. "გარეთა ნახევარმთვარის" ძალების სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ მაქსიმალურად მეტი სანაპირო სივრცე წაართვას ჰართლენდს და იგი "კუნძულოვანი ცივილიზაციის" გავლენის ქვეშ მოაქციოს.

ამრიგად, მაკინდერს ეშინოდა ძლიერი რუსეთისა და ბრიტანეთის იმპერიასთან მის შეტაკებას მოელოდა. მოსკოვისა და ლონდონის ინტერესების პირველი დიდი შეჯახება უნდა მომხდარიყო "რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის" ინდოეთის მიმართულებით განვითარების შედეგად. გასათვალისწინებელია, რომ მაკინდერის აღნიშნული ნაშრომი 1904 წელსაა დაწერილი. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ რუსეთ-ბრიტანეთის დაახლოება გამოიწვია.

პოლიტიკური იდეალიზმის წინააღმდეგ

1919 წელს გამოვიდა ჰ.მაკინდერის წიგნი "დემოკრატიული იდეალები და რეალობა", რომელიც მისი მეორე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ნაშრომია და მაშინვე იქცა სამაგიდო წიგნად გეოპოლიტიკით დაინტერესებული მკითხველისათვის.

მაკინდერი პროტესტს აცხადებს ვილსონის იდეალიზმის წინააღმდეგ, რომლის საფუძველზეც აშშ მსოფლიო ომში ჩაება. კერძოდ, ეს იყო სურვილი "ბოლო მოეღოთ ყველა ომისათვის" და "გადაერჩინათ დემოკრატია მსოფლიოსათვის". მაკინდერი აღნიშნავდა, რომ "დემოკრატია შეუთავსებელია ორგანიზაციასთან, რაც აუცილებელია ავტოკრატიული რეჟიმების წინააღმდეგ საბრძოლველად". მაკინდერი წუხს იმის გამო, რომ ვ.ვილსონის მსგავსი პოლიტიკური მორალისტები "უარს ამბობენ ანგარიში გაუწიონ გეოგრაფიისა და ეკონომიკის რეალობებს".

მაკინდერი ხაზს უსვამს მსოფლიო პოლიტიკისათვის გეოგრაფიული რეალობების მნიშვნელობას და მიაჩნია, რომ კაცობრი-

ობის ისტორიაში მომხდარი ყველა დიდი ომის გამომწვევი მიზეზი, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გარდა სახელმწიფოთა უთანაბრო განვითარებისა, იყო "ნაყოფიერი მიწებისა და სტრატეგიულ შესაძლებლობათა უთანაბრო განაწილება ჩვენი პლანეტის ზედაპირზე".

მაკინდერმა ჩამოაყალიბა გეოპოლიტიკური კანონი თავისი ცნობილი თეზისის სახით: "ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, ბატონობს ჰართლენდზე; ვინც მართავს ჰართლენდს ბატონობს მსოფლიო კუნძულზე; ვინც ბატონობს მსოფლიო კუნძულზე, ბატონობს მთელ მსოფლიოზე".

აღნიშნული ნაშრომის შემდეგ მაკინდერის კონცეფციაში მკვიდრდება ორი ახალი გეოპოლიტიკური ცნება: "ჰართლენდი" და "მსოფლიო კუნძული".

"ჰართლენდი"

1904 წ. გამოქვეყნებულ მაკინდერის ცნობილ სტატიაში არ ფიგურირებს "ჰართლენდის" ცნება. ეს ტერმინი 1915 წ. პირველად გამოიყენა მისმა თანამემამულემ, გეოგრაფმა ფერგრივმა. იგი მაკინდერისაგან დამოუკიდებლად მივიდა მსგავს დასკვნებამდე, მაგრამ სწორედ მაკინდერის კონცეფციის წყალობით გახდა უაღრესად პოპულარული აღნიშნული გეოპოლიტიკური ცნება.

"ჰართლენდი" ("ცენტრალური მატერიკი") მაკინდერმა უწოდა იმას, რის აღსანიშნავადაც 1904 წელს "ღერძულ ზონას" იყენებდა, ამასთან იგი უფრო ფართო გეოგრაფიულ საზღვრებშიც მოაქცია - ჰართლენდს დამატებით მიაკუთვნა შორეული აღმოსავლეთი, ტიბეტი, მონღოლეთი და აღმოსავლეთ ევროპის ნაწილი.

ჰართლენდის ახალი საზღვრები მან შემოხაზა სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის განვითარებაში მომხდარი პროგრესის, მოსახლეობისა და ინდუსტრიალიზაციის ზრდით გამოწვეული ცვლილებების გათვალისწინებით.

"მსოფლიო კუნძული"

მაკინდერის კონცეფციაში მსოფლიო კუნძული ერთიანი კონტინენტური სარტყელია, რომელიც ევროპის, აზიისა და აფრიკისაგან შედგება. იგი გარშემორტყმულია მსოფლიო ოკეანეთი. ეს კუნძული, თავისი გეოგრაფიული და სტრატეგიული მდგომარეობის გამო, ჩვენს პლანეტაზე კაცობრიობის განსახლების მთავარ ადგილს წარმოადგენს. ამავე დროს ესაა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი და საზღვაო სახელმწიფოებისათვის შეუღწეველი რეგიონი.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა: სახელმწიფო, რომელიც გაბატონებულ მდგომარეობას დაიკავებს მსოფლიო კუნძულზე, ასევე იბატონებს მსოფლიოში.

ჰართლენდის დასავლეთი საზღვარი

აღსანიშნავია, რომ მაკინდერი არცერთ ნაშრომში ზუსტად არ განსაზღვრავს ჰართლენდის დასავლეთ საზღვარს. იგი ზოგადად მიუთითებს, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით ჰართლენდი მოიცავდა ბალტიის ზღვას, დუნაის, შავ ზღვას, მცირე აზიასა და სომხეთს.

მაკინდერი სწორ ხაზს ავლებდა ადრიატიკიდან (ვენეციის აღმოსავლეთით) ჩრდილოეთის ზღვამდე (ნიდერლანდების აღმოსავლეთით) და მის დასავლეთით მდებარე მიწებს კოუსტლენდს (სანაპირო მიწას) უწოდებდა. მის აღმოსავლეთით ჰართლენდი იყო თავის მაქსიმალური საზღვრებით, თუმცა ამავე დროს აღმოსავლეთ ევროპა ორივე მხარის პრეტენზიების საგანს წარმოადგენდა და, მაშასადამე, უნდა განხილულიყო არასტაბილურობის ზონის სახით.

მკვლევარები, რომელთაც ამ გარემოებას მიაქციეს ყურადღება, აღნიშნავენ, რომ ესაა მეტად არამყარი საზღვარი. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საზღვრები დაინგრა 1939 წელს.

მეორე მსოფლიო ომის შექმნილმა თითქოსდა ურყევმა საზღვრებმა მხოლოდ ნახევარ საუკუნეს იარსება. ამდენად, ბუნებრივად იბადება კითხვა: რამდენად მყარი იქნება აღმოსავლეთ ევროპის ახალი საზღვრები?

გეოპოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფორმულათა ურთიერთმიმართება

მაკინდერმა მიუთითა ცივილიზაციურ ტიპსა და ამა თუ იმ ძალის გეოპოლიტიკურ ხასიათს შორის არსებულ კავშირზე. შესაბამისად, შეიძლება მივიღოთ ფორმულა, რომლითაც გეოპოლიტიკურ ტერმინებს ადვილად გადავიყვანთ იდეოლოგიურ ტერმინებში.

"გარეთა ნახევარმთვარე" - ლიბერალური დემოკრატია; "ისტორიის გეოგრაფიული ღერძი" - არადემოკრატიული ავტორიტარიზმი; "შიდა ნახევარმთვარე" - შუალედური მოდელი, რომელიც ორივე იდეოლოგიურ სისტემას ახასიათებს.

ევრაზიული კავშირის წინააღმდეგ

მაკინდერი ანგლოსაქსური "კუნძულოვანი მსოფლიოს" ინტერესებს გამოხატავს, რომლის გეოპოლიტიკური ორიენტაციის საფუძვლად მიიჩნევდა ჰართლენდის მაქსიმალურ დასუსტებას და, შესაბამისად, "გარეთა ნახევარმთვარის" პოზიციების მაქსიმალურ გაძლიერებას.

1919 წელს წიგნში "დემოკრატიული იდეალები და რეალობა" მაკინდერი წერდა: "რა დაემართება ზღვის ძალებს, თუკი ერთხელაც დიდი კონტინენტი პოლიტიკურად გაერთიანდება, რათა უძლეველი არმადის საფუძველი გახდეს?"

სწორედ მაკინდერმა ჩაუყარა საფუძველი ანგლოსაქსური გეოპოლიტიკის მთავარ ტენდენციას: ნებისმიერი ხერხით წინ აღ-

უდგნენ ევრაზიული ბლოკის ჩამოყალიბების თვით შესაძლებლობასაც კი, გერმანიისა და რუსეთის სტრატეგიული კავშირის შექმნას, ჰართლენდის გეოპოლიტიკურ გაძლიერებას და მის ექსპანსიას.

1919 წელს გამოქვეყნებულ წიგნში მაკინდერმა კვლავ გაიმეორა თავისი თვალსაზრისი გერმანიის შესახებ, რომელსაც, მისი აზრით, ევროპის ნებისმიერ სხვა სახელმწიფოზე უკეთესი სტრატეგიული მდგომარეობა უკავია ჰართლენდზე გაბატონებისათვის საბრძოლველად. ჰართლენდის დაუფლების შემდეგ კი მას შეეძლება საზღვაო ძალის შექმნა და შეეცდება მთელ მსოფლიოზე გაბატონებასაც.

საზღვაო ძალა, მაკინდერის თანახმად, კვლავ რჩება მსოფლიო ძლიერების არსებით ატრიბუტად, თუმცა მისი წანამძღვრები წარსულთან შედარებით მნიშვნელოვნად შეიცვალა: XX ს-ში სათანადო დონეზე საზღვაო ძლიერების შენარჩუნება მოითხოვს სამხედრო-საზღვაო ბაზების უფრო გაშლილ ქსელს ხმელეთზე, რისთვისაც ყველა სახელმწიფოს საჭირო სახსრები არ გააჩნია.

როგორც უკვე ითქვა, მაკინდერის კონცეფციის თანახმად, მსოფლიოზე ბატონობის მიღწევა შეეძლო მხოლოდ რუსეთის ან გერმანიის ტიპის დიდ კონტინენტურ სახელმწიფოს, რომელსაც მძლავრი საზღვაო ძალის შექმნაც შეიძლებოდა.

მაკინდერის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ წონასწორობა შეიძლება დაირღვეს და უპირატესობამ სახმელეთო სახელმწიფოების (პირველ რიგში გერმანიის) ხელში გადაინაცვლოს, მოწონებით შეხვდნენ 20-30-იანი წლების გერმანიის ექსპანსიის იდეოლოგები. მაკინდერის ნაშრომი "დემოკრატიული იდეალები და რეალობა" ნაცისტური გეოპოლიტიკის ოქროს ფონდში შევიდა.

ვერსალის სისტემა

მაკინდერი არა მარტო აგებდა თეორიულ ჰიპოთეზებს, არამედ პოლიტიკურ საქმიანობაშიც აქტიურად იყო ჩაბმული. იგი მონაწილეობდა ვერსალის ხელშეკრულების მომზადებაში, სწორედ მასზე იყო გამიზნული მაკინდერის ცნობილი ფორმულა აღმოსავლეთ ევროპის მნიშვნელობის თაობაზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მაკინდერი ბრიტანეთის ინტერესებისათვის მთავარ საფრთხედ კვლავ გერმანიას განიხილავდა. ვერსალის ძირითადი გეოპოლიტიკური იდეა ასახავს მაკინდერის შეხედულებების არსს. ეს ხელშეკრულება ისე იქნა აგებული, რომ განმტკიცებულიყო დასავლეთ ევროპის როგორც საზღვაო ძალებისათვის სანაპირო ბაზის ხასიათი (ე.ი. ანგლო-საქსური მსოფლიოს საყრდენი ხასიათი). გარდა ამისა, იგი ითვალისწინებდა ბუფერულ სახელმწიფოთა შექმნას, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფდნენ გერმანიასა და რუსეთს, ყოველნაირად ხელს შეუშლიდნენ მათ შორის კონტინენტური სტრატეგიული ალიანსის შექმნას, რაც საშიშია "კუნძულოვანი სახელმწიფოებისა" და ე.ი. დემოკრატიისათვის.

ვერსალის სისტემით მართლაც შეიქმნა ბუფერული სახელმწიფოები გერმანიასა და რუსეთს შორის. ეს იყო ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია. თუმცა, პოლიტიკური თვალსაზრისით მათ ეკისრებოდათ არა რუსეთის დაცვა გერმანიისგან, არამედ დასავლეთის დაცვა "ბოლშევიკური საფრთხისაგან".

1919 წელს მაკინდერის შეშფოთებას იწვევდა არა იმდენად გერმანიის სამხედრო ექსპანსიის შესაძლებლობა აღმოსავლეთისაკენ, რამდენადაც რევოლუციის მიერ დანგრეულ რუსეთში ეკონომიკურად უფრო განვითარებული და ენერგიული გერმანიის მშვიდობიანი და თანდათანობითი შეღწევა.

საერთოდ, მაკინდერი მოუწოდებდა საზღვაო სახელმწიფოებს დახმარებოდნენ არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის, არამედ

"შიდა ნახევარმთვარის" დამოუკიდებელ სახელმწიფოებსაც, რათა მათ წინააღმდეგობა გაეწიათ კონტინენტური სახელმწიფოების ექსპანსიისათვის.

მაკინდერი მხარს უჭერდა აგრეთვე ანტანტის დახმარების გაძლიერებას რუსეთის "თეთრი მოძრაობისადმი", რომელსაც იგი ატლანტურ ტენდენციად მიიჩნევდა და, მისი აზრით, მიმართული იყო პროგერმანულად განწყობილი "ევრაზიელი" ბოლშევიკების დასუსტებისკენ.

"მეორე გეოგრაფიული კონცეფცია"

1943 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, ჟურნალ "ფორენ აფერს"-ის რედაქტორმა სთხოვა იმ დროს ასაკოვან (82 წლის) მაკინდერს განეხილა მსოფლიოში შექმნილი ვითარება. თავის უკანასკნელ სტატიაში მაკინდერი ამტკიცებდა, რომ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების შემთხვევაში ეს უკანასკნელი გადაიქცევა პლანეტის უდიდეს სახელმწიფოდ.

ამასთან ერთად მაკინდერმა მნიშვნელოვნად გადასინჯა თავისი ადრინდელი კონცეფცია. ახალი სქემით ჰართლენდი მოიცავდა საჰარას, ცენტრალური აზიის უდაბნოებს, არქტიკას, ციმბირისა და ჩრდილოეთ ამერიკის სუბარქტიკულ მიწებს. ამ სქემაში ჩრდილოეთ ატლანტიკა გადაიქცა "ხმელთაშუა ოკეანედ". ამ სივრცეს იგი განიხილავდა დედამიწის საყრდენ წერტილად, რომელიც გამოცალკევებულია მეორე მთავარი რეგიონისაგან - ინდოეთისა და ჩინეთის "მუსონური ტერიტორიებისგან", რომელიც გაძლიერების კვალდაკვალ მის საპირისპირო ძალად შეიძლება იქცეს. სტატიაში შემოთავაზებულ ვერსიას მაკინდერმა "მეორე გეოგრაფიული კონცეფცია" უწოდა.

მაკინდერმა უარი თქვა ადრინდელ მკაცრ დიქოტომურ დაპირისპირებაზე სახმელეთო და საზღვაო სახელმწიფოთა შორის. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ორივე მსოფლიო ომში კონტინენ-

ტურმა და საზღვაო სახელმწიფოებმა ერთმანეთს შორის კავშირი შეკრეს.

1904-1907 წწ. ანტანტა არაფრით არ თავსდება მაკინდერის თავდაპირველ კონცეფციაში. მით უმეტეს, მას ეწინააღმდეგებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს შექმნილი ბერლინი-რომი-ტოკიოს ღერძი, ისევე როგორც საოკეანო სახელმწიფოების - აშშ-სა და ბრიტანეთის კავშირი კონტინენტურ საბჭოთა კავშირთან.

მაკინდერის ახალი კონცეფციის თანახმად, "ხმელთაშუა ოკეანე" სამი მთავარი ელემენტისგან შედგებოდა. ეს იყო "ხიდის წინა სიმაგრე" საფრანგეთში, "თხრილით გარშემორტყმული აეროდრომი" ბრიტანეთში და მომზადებული სამუშაო ძალის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის რეზერვები აშშ-სა და კანადაში. აქედან გამომდინარეობდა ამერიკელთა სამხედრო ყოფნის აუცილებლობა ევრაზიის კონტინენტზე.

1943 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მაკინდერმა მკაფიოდ განსაზღვრა მომავალი გლობალური კონფლიქტი, როგორც დაპირისპირება ჰართლენდსა და "გარეთა ნახევარმთვარის" სახელმწიფოებს შორის, ამასთან მისთვის ჰართლენდი ცალსახად გაიგივებულია საბჭოთა კავშირთან. თავის გეოპოლიტიკურ ანდერძში მაკინდერმა დასავლეთის ლიდერებს მოუწოდა დარაზმულიყვნენ "ატლანტური ცივილიზაციის" კონცეფციის გარშემო და ერთობლივად დაპირისპირებოდნენ კომუნიზმს. ნატოს შექმნით ეს პრაქტიკულად განხორციელდა კიდეც.

ჰართლენდის ცნების ევოლუცია

მაკინდერის ნაშრომებში ჰართლენდის გეოგრაფიული საზღვრების საკითხმა მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. თუ 1904 და 1919 წლებში (შესაბამისად სტატიაში "ისტორიის გეოგრაფიული ღერძი" და წიგნში "დემოკრატიული იდეალები და რეალობა") ჰართლენდის საზღვრები ზოგადად ემთხვეოდა რუსეთის იმპერი-

ის და შემდეგ საბჭოთა კავშირის საზღვრებს, 1943 წელს სტატიაში "მრგვალი პლანეტა და მსოფლიოს დაპყრობა" გადასინჯა თავისი ადრინდელი შეხედულებანი და ჰართლენდის ფარგლებიდან ამოიღო აღმოსავლეთ ციმბირის ტერიტორია, ანუ ენისეის იქითა მიწები. მან ამ მცირედდასახლებულ საბჭოთა ტერიტორიას "რუსეთი-ლენალანდი" უწოდა, მდ.ლენას სახელის მიხედვით.

მაკინდერი აღნიშნავდა, რომ ლენალანდში სულ 9 მლნ. ადამიანი ცხოვრობს, მათგან 5 მლნ. ცხოვრობს ტრანსციმბირის რკინიგზის გასწვრივ ირკუტსკიდან ვლადივოსტოკამდე. დანარჩენ ტერიტორიაზე ცხოვრობს 1 ადამიანზე ნაკლები 8 კვ.კმ.-ზე. ამ მიწის ბუნებრივი სიმდიდრე პრაქტიკულად ხელშეუხებელია.

ლენალანდის გამოყოფა ჰართლენდის გეოგრაფიული საზღვრებიდან იმას ნიშნავდა, რომ ეს ტერიტორია შესაძლებელი იყო განეხილათ "შიდა ნახევარმთვარის" ზონის სახით ე.ი. როგორც სანაპირო სივრცე, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ "კუნძულოვან" სახელმწიფოებს, "ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" წინააღმდეგ ბრძოლაში. მაკინდერმა, რომელიც თავის დროზე აქტიურად მონაწილეობდა ანტანტის ინტერვენციასა და "თეთრი მოძრაობის" ორგანიზებაში, ალბათ კოლჩაკის ისტორიული პრეცენდენტი საკმარის საფუძვლად ჩათვალა: მაშინ აღნიშნული ტერიტორია ცალკე იყო ორგანიზებული და წინააღმდეგობას უწევდა ევრაზიულ ცენტრს.

მაკინდერის კონცეფცია ისტორიულ კონტექსტში

მაკინდერის კონცეფციას მრავალი კრიტიკოსი გამოუჩნდა. მის წინააღმდეგ შეიძლება მართლაც მრავალი არგუმენტი იქნა მოშველიებული, მაგრამ კრიტიკის უმეტესი ნაწილი, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ მაკინდერის კონცეფცია რამდენადმე ნაადრევად გამოჩნდა. იგი თავისი არსით გლობალურია, მაშინ როდესაც მსოფლიო იმ დროისათვის უპირატესად ევროპოცენ-

ტრისტულ ხასიათს ატარებდა. მას შეესაბამებოდა პოლიტიკური აზროვნების ევროპოცენტრისტული ხასიათიც. ამავე დროს მაკინდერის კონცეფცია წმინდა ბრიტანული ინტერესების დაღსაც ატარებდა: მისთვის ჰართლენდი - რუსეთი და გერმანიაა, ინგლისის ორი ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე. მის კონცეფციაში ჩადებული მთავარი იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ არ იქნას დაშვებული ამ ორი ქვეყნის გაერთიანება, ანდა დაეხმარონ უფრო სუსტს ძლიერის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაკინდერის კონცეფციის გლობალური ხასათი უფრო მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოვლინდა, კერძოდ კი ამერიკულ "შეკავების დოქტრინაში". რა იდეოლოგიური მოტივიც არ უნდა ყოფილიყო მის საფუძვლად გამოცხადებული, იგი მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის კონტროლის ქვეშ მოქცეული ჰართლენდის ნეიტრალიზაციას და ესწრაფვოდა არ დაეშვა მისი დომინირება მსოფლიო კუნძულზე.

შემთხვევითი არაა, რომ 1944 წელს აშშ-ის ელჩმა დიდ ბრიტანეთში აინანტმა საზეიმო ვითარებაში გადასცა ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების ჯილდო და ამასთან განაცხადა, რომ მაკინდერი "გეოპოლიტიკის მეცნიერების შემქმნელია".

ქრესტომათია

ჰელფორდ ჯორჯ მაკინდერი. ისტორიის გეოგრაფიული ღერძი

როცა შორეულ მომავალში რომელიმე ისტორიკოსი მოინდომებს შეისწავლოს დრო, რომელშიც ვცხოვრობთ და შეეცდება რეზიუმეს სახით მის წარმოდგენას, როგორც დღეს ჩვენ ამას ვაკეთებთ ძველი ეგვიპტის დინასტიების მიმართ, სავსებით შესაძლებელია, უკანასკნელ ოთხას წელიწადს მან „კოლუმბის ეპოქა“ უწოდოს და თქვას, რომ ის დამთავრდა მალევე 1900 წლის შემდეგ.

დღეს, საზოგადოდ, მიღებულია ლაპარაკი გეოგრაფიული გამოკვლევების, როგორც რაღაც პრაქტიკულად დამთავრებულის შესახებ. ითვლება აგრეთვე, რომ გეოგრაფია მხოლოდ საგულდაგულო მიმოხილვასა და ფილოსოფიურ სინთეზზე უნდა იქნას დაყვანილი. ოთხასი წლის განმავლობაში ობიექტებმა მსოფლიოს გეოგრაფიულ რუქაზე საკმაოდ სწორი და ზუსტი მოხაზულობა მიიღო; ორივე პოლუსის რაიონებშიც კი ნანსენისა და სკოტის ექსპედიციებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს ახალი და დაუჯერებელი აღმოჩენების შესაძლებლობანი.

მეოცე საუკუნის დასაწყისი ფასდება, როგორც დიდი ისტორიული ეპოქის დასასრული. ამასთან, ეს ეხება არა მხოლოდ მის მიღწევებს, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ისინი. მისიონერი, დამპყრობელი, მემაღაროე და, ბოლოს, ინჟინერი თითქმის კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ მოგზაურებს. სწორედ ამიტომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო თავის ყველაზე შორეულ ფარგლებში აღმოჩენილი იყო უკვე მანამდე, სანამ ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი მისი ფაქტობრივი პოლიტიკური ათვისების თაობაზე. ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკასა და ავსტრალიაში, ალბათ, არ მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც შეიძლება შემოფარგლო მიწა, რომელზეც საკუთრების უფლებას განაცხადებ. ასეთი რამ, ალბათ, შესაძლებელი იქნება მხოლოდ ცივილიზებულ და ნახევრადცივილიზებულ სახელმწიფოებს შორის ომის დროს. აზიაშიც კი ჩვენ, როგორც ჩანს, ერმაკის ცხენოსნების, კაზაკების და ვასკო და გამას მეზღვაურების მიერ დაწყებული პიესის უკანასკნელი აქტების მაყურებელნი ვართ. შედარებისათვის შეგვიძლია კოლუმბის ეპოქა დავუპირისპიროთ წინა საუკუნეებს და მათ დამახასიათებელ ნიშნად ევროპის ექსპანსია დავასახელოთ, რომელიც პრაქტიკულად არავითარ წინააღმდეგობას არ ხვდებოდა, მაშინ როდესაც შუა საუკუნეების ქრისტიანობა მომწყვდეულ იქნა პატარა რეგიონის ფარგლებში და გარედან ბარბაროსების თავდასხმის საფრთხის ქვეშ იყო.

დღევანდელი დღიდან დაწყებული და შემდგომში, პოსტკოლუმბისეულ ეპოქაში, საქმე გვექნება დახურულ პოლიტიკურ სისტემასთან და სავსებით შესაძლებელია, რომ ამ სისტემას მსოფლიო მასშტაბები ჰქონდეს. საზოგადოებრივი ძალების ყოველი აფეთქება, იმის ნაცვლად, რომ გარემომცველ უცნობ სივრცეში და ბარბაროსობის ქაოსში გაიფანტოს, გამოძახილს ჰპოვებს ხმამაღალი ექოს სახით დედამიწის სფეროს საპირისპირო მხრიდან, ისე რომ შედეგად დაინგრევა ყველა სუსტი ელემენტი დედამიწის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზმში. დიდი განსხვავება არსებობს იმ ორ შემთხვევას შორის, როდესაც ჭურვი ორმოში ვარდება და როდესაც ის ეცემა უზარმაზარი შენობის ან გემის კონსტრუქციებში მოქცეულ ჩაკეტილ სივრცეს. შესაძლოა, ამ ფაქტის თუნდაც ნაწილობრივმა გაგებამ, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღება ტერიტორიულ ექსპანსიას ჩამოაცილოს და აიძულოს ისინი, ძალისხმევა შეთანხმებული აღმშენებლობისაკენ მიმართონ.

აი ამიტომ მგონია, რომ მიმდინარე ათწლეულში ჩვენ პირველად ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, როდესაც შეიძლება მეტნაკლები გარკვეულობით კავშირი დაადგინო ყველაზე ფართო გეოგრაფიულ და ისტორიულ განზოგადებებს შორის. პირველად ჩვენ შეგვიძლია მოვსინჯოთ მსოფლიო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენების თანაფარდობის რეალური პროპორციები და გამოვარკვიოთ ფორმულა, რომელიც ასე თუ ისე გამოხატავს მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიული განპირობებულობის გარკვეულ ასპექტებს. თუ ბედი გაგვიღიმებს, მაშინ ეს ფორმულა პრაქტიკულ ღირებულებასაც შეიძენს - მისი დახმარებით შესაძლებელი იქნება გამოვთვალოთ ახლანდელი საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი კონკურირებადი ძალის განვითარების პერსპექტივა. ცნობილი ფრაზა იმის თაობაზე, რომ იმპერია დასავლეთით ვრცელდება, არის მხოლოდ მსგავსი სახის ემპირიული მცდელობა.

ასე რომ, დღეს მე მინდა აღვწერო მსოფლიოს ის დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნები, რომლებიც, ჩემი აზრით, ძალზე მჭიდრო-

დაა დაკავშირებული ადამიანის მოღვაწეობასთან, აგრეთვე წარმოვადგინო ისტორიის ზოგიერთი ძირითადი ფაზა, ორგანულად დაკავშირებული მათთან, მაშინაც კი, როდესაც ისინი ჯერ კიდევ უცნობი იყო გეოგრაფიისათვის. მე სრულიადაც არ ვისახავ მიზნად განვიხილო ამა თუ იმ ფაქტორის გავლენა ან შევეხო რეგიონულ გეოგრაფიას, უფრო მინდა ვაჩვენო კაცობრიობის ისტორია როგორც მსოფლიო ორგანიზმის ცხოვრების ნაწილი. ვაღიარებ, რომ აქ შემიძლია მივაღწიო მხოლოდ ჭეშმარიტების ერთ ასპექტს და სრულიადაც არ მსურს გადავვარდე მეტისმეტ მატერიალიზმში. ინიციატივას ავლენს არა ბუნება, არამედ ადამიანი, მაგრამ უმეტესწილად სწორედ ბუნება ახორციელებს კონტროლს. მე მაინტერესებს უფრო საყოველთაო ბუნების ფაქტორის შესწავლა, ვიდრე მსოფლიო ისტორიის მიზეზების სფერო. სავსებით ცხადია, რომ აქ შეიძლება მხოლოდ ჭეშმარიტებასთან პირველი მიახლოების იმედი გქონდეს და ამიტომ მორჩილად მივიღებ ჩემი კრიტიკოსების ყველა შენიშვნას.

განსვენებული პროფესორი ფრიმენი ამბობდა, რომ ერთადერთი ისტორია, რომელიც მხედველობაშია მისაღები, არის ხმელთაშუა ზღვისა და ევროპული რასების ისტორია. გარკვეულწილად ეს, რა თქმა უნდა, სწორია, რადგანაც სწორედ ამ რასებში ჩაისახა იდეები, რომელთაც მიგვიყვანეს ბერძნებისა და რომაელების შთამომავალთა გაბატონებამდე მთელ მსოფლიოში. მაგრამ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი თვალსაზრისით, ასეთი შემოფარგვლა საგრძნობლად ზღუდავს აზრს.

იდეებს, რომლებიც აყალიბებენ ერს ადამიანთა უბრალო ბრბოს საპირისპიროდ, ჩვეულებრივ, ღებულობენ საერთო უბედურების ზეწოლით, ანდა როდესაც საერთო აუცილებლობას წარმოადგენს გარეშე ძალისადმი წინააღმდეგობის გაწევა. ინგლისის იდეა ჩანერგილი იქნა ჰეპტარქიის სახელმწიფოებში დანიელი და ნორმანი დამპყრობლების მიერ; საფრანგეთის იდეა ჰუნებმა თავს მოახვიეს ერთმანეთს შორის მოდავე ფრანკებს, გოთებს და რომაელებს შალონის ბრძოლაში და მოგვიანებით, ინგლისთან ასწლიანი ომის დროს; ქრისტიანობის იდეა

დაიბადა რომის იმპერიაში დევნის დროს და ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში ლოგიკურ დასასრულამდე იქნა მიყვანილი. შეერთებული შტატების იდეა აღქმული იქნა - კოლონისტთა ადგილობრივი პატრიოტიზმის მონაწილეობით - მხოლოდ დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივი ომისა დროს; სამხრეთ გერმანიაში გერმანიის იმპერიის იდეა მიიღეს და, ისიც უხალისოდ, მხოლოდ ჩრდილოეთ გერმანიასთან კავშირში, საფრანგეთთან მისი ბრძოლის დროს.

ის, რაც მე შემიძლია აღვწერო როგორც ისტორიის ლიტერატურული კონცეფცია, შესაძლოა, ძალაუნებურად, მხედველობიდან უშვებს თავდაპირველ მოძრაობებს, რომელთა ზეწოლა აღმძვრელი იმპულსის როლს ასრულებდა ატმოსფეროში, სადაც დიდი იდეები ყალიბდებოდა. რომელიღაც ზიზღის აღმძვრელი პერსონა რაღაცვ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფუნქციას ასრულებს თავისი მტრების გაერთიანებაში, ასე რომ ევროპამ სწორედ გარეშე ბარბაროსთა ზეწოლის წყალობით შექმნა თავისი ცივილიზაცია. სწორედ ამიტომ გთხოვთ შეხედოთ ევროპასა და ევროპის ისტორიას როგორც მოვლენას, რომელიც აზიასა და მის ისტორიას ექვემდებარება, რადგანაც ევროპის ცივილიზაცია მნიშვნელოვანწილად აზიელთა შემოსევების წინააღმდეგ საუკუნოვანი ბრძოლის შედეგია.

ყველაზე შესამჩნევი მნიშვნელოვანი კონტრასტი თანამედროვე ევროპის პოლიტიკურ რუქაზე - ესაა კონტრასტი, ერთი მხრივ, რუსეთის უზარმაზარ სივრცეებსა, რომელთაც ამ კონტინენტის ნახევარი უკავიათ და, მეორე მხრივ, უფრო პატარა ტერიტორიების ჯგუფს შორის, რაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს უჭირავთ. ფიზიკური თვალსაზრისით, აქ, რა თქმა უნდა, ასევე არსებობს მსგავსი კონტრასტი აღმოსავლეთის დაუხვნელ დაბლობებსა და, მეორე მხრივ, მთებსა და ვაკეების, კუნძულებისა და ნახევარკუნძულებიხს სიმდიდრეებს შორის, რომელთა ერთობლიობაც დედამიწის სფეროს ამ რაიონის დანარჩენ ნაწილს შეადგენს.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ამ ცნობილ ფაქტებში ჩვენს წინაშე წარმოსდგება იმდენად ცხადი კავშირი ბუნებრივ

გარემოსა და პოლიტიკურ ორგანიზაციას შორის, რომ არც კი ღირს ამის შესახებ საუბარი, განსაკუთრებით თუკი გავიხსენებთ, რომ რუსეთის დაბლობზე ცივ ზამთარს ცხელი ზაფხული უპირისპირდება და ადამიანის არსებობის პირობებს, ამგვარად ცხოვრებაში შემოაქვთ დამატებითი ერთფეროვნება. და მიუხედავად იმისა, რამდენიმე ისტორიული რუქა, მაგალითად, ოქსფორდის ატლასიდან, გაჩვენებთ, რომ რუსეთის ევროპული ნაწილის უხეში დამთხვევა აღმოსავლეთ ევროპის დაბლობთან შემთხვევითი არაა, და ეს არ მომხდარა უკანასკნელი ასი წლის მანძილზე; უფრო ადრეულ დროშიც აქ არსებობდა სრულიად სხვა ტენდენცია პოლიტიკურ გაერთიანებაში. სახელმწიფოთა ორი ჯგუფი ჩვეულებრივ ყოფდა ამ ქვეყანას ჩრდილოეთისა და სამხრეთის პოლიტიკურ სისტემებად.

საქმე ისაა, რომ ოროგრაფიული რუკები არ გამოხატავენ იმ განსაკუთრებულ ფიზიკურ თავისებურებას, რომელიც სულ უკანასკნელ დრომდე აკონტროლებდა რუსეთის ტერიტორიაზე ადამიანის გადაადგილებასა და განსახლებას. როცა თოვლის საბურველი თანდათანობით ჩრდილოეთისკენ იხევს ამ ფართო დაბლობისაგან, მას ცვლის წვიმები, რომლებიც მაისსა და ივნისში განსაკუთრებით ძლიერია შავი ზღვის სანაპიროზე, მაგრამ ბალტიკისა და თეთრი ზღვის რაიონში წვიმა ყველაზე ხშირად ივლისსა და აგვისტოში მოდის. სამხრეთში ბატონობს ხანგრძლივი გვალვიანი ზაფხული. ასეთი კლიმატური რეჟიმის შედეგი ისაა, რომ ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის რაიონები ტყეებითაა დაფარული, რომელთა სიხშირეს იშვიათად ენაცვლება ტბები და ჭაობები, მაშინ როდესაც სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ბალახით დაფარულ უკიდეგანო სტეპებს წარმოადგენს, სადაც ხეების დანახვა მხოლოდ მდინარეების ნაპირებზე შეიძლება. ამ ორი რეგიონის გამყოფი ხაზი დიაგონალურად მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, იწყება კარპატების ჩრდილოეთ დაბოლოებასთან და მთავრდება უფრო ურალის სამხრეთ რაიონებთან, ვიდრე მის ჩრდილოეთ ნაწილთან. რუსეთის ფარგლებს გარეთ ამ უდიდესი ტყეების საზღვარი მიემართება დასავლეთისკენ, გაივლის ევროპული ყე-

ლის თითქმის შუაგულში, რომლის სიგანეც (ესე იგი მანძილი ბალტიისა და შავ ზღვებს შორის) 800 მილს უდრის. მის იქით, ევროპის დანარჩენ ტერიტორიაზე, ტყეებს უკავიათ გერმანიის დაბლობები ჩრდილოეთში, მაშინ როდესაც სამხრეთში სტეპები კარპატებთან ტრანსილვანიის დიდ ბასტიონს აყალიბებენ და დუნაიმდე იშლებიან, იქ, სადაც ამჟამად რუმინეთის ყანები ღელავენ და რკინის კარიბჭემდე აღწევენ. ცალკე სტეპის რაიონმა, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის ცნობილია „პუშტას“ სახელწოდებით და ამჟამად აქტიურად მუშავდება, უნგრეთის დაბლობი დაიკავა; მას გარს ერტყმის კარპატებისა და ალპების ტყიანი მთების ჯაჭვი. რუსეთის დასავლეთში კი, უკიდურესი ჩრდილოეთის გამოკლებით, ტყის გაწმენდამ, ჭაობების დაშრობამ და ყამირის გატეხვამ ამ ცოტა ხნის წინ ლანდშაფტის ხასიათი განსაზღვრა, უმეტესწილად წაშალა რა ის განსხვავება, რაც ადრე ასე შესამჩნევი იყო.

რუსეთი და პოლონეთი ტყიან დაბლობებზე წარმოიშვნენ. ამავე დროს, აქ სტეპების გავლით აზიის შორეული და უცნობი კუთხეებიდან ურალის მთებისა და კასპიის ზღვისაკენ V საუკუნიდან და XVI საუკუნის ჩათვლით უწყვეტ ნაკადად მიემართებოდნენ თურანელი ნომადები: ჰუნები, ავარები, ბოლგარები, მადიარები, ხაზარები, პაჭანიკები, კუმანები, მონღოლები, ყალმუხები.

ატილას მმართველობის დროს ჰუნები დამკვიდრდნენ პუშტის შუაგულში, სტეპის ყველაზე შორეულ „დუნაის“ კუნძულებზე და იქიდან უტევდნენ ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით ევროპის ბინადარ მოსახლეობას. თანამედროვე ისტორიის დიდი ნაწილი შეიძლება დაიწეროს როგორც კომენტარები იმ ცვლილებებისა, რაც ამ რეიდების პირდაპირი ან არაპირდაპირი შედეგია. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ მაშინ ანგლები და საქსები აიძულეს ზღვა გადაეცურათ და ბრიტანეთის კუნძულებზე ინგლისი დაეფუძნებინათ. პირველად ფრანკები, გოთები და რომაული პროვინციების მცხოვრებნი იძულებულნი აღმოჩნდნენ მხარდამხარ დამდგარიყვნენ საერ-

თო მიზნიდან გამომდინარე. ამრიგად, მათ უნებურად თანამედროვე საფრანგეთი შეადგინეს.

აკვილეისა და პადუის დანგრევის შედეგად დაფუძნებული იქნა ვენეცია; პაპობაც კი თავის დიდ ავტორიტეტს უნდა უმადლოდეს მილანში რომის პაპის ლევის წარმატებულ შუამავლობას ატილასთან. ასეთი იყო შედეგი, რომელიც მოიტანა დაუნდობელი და კულტურაზე არანაირი წარმოდგენების არმქონე მხედრების მიერ, უკონტროლო დაბლობების დაკავებამ.

ეს იყო აზიური ჩაქუჩის მიერ დაუკავებელი სივრცისათვის მიყენებული თავისუფალი დარტყმა. ჰუნებს ავარები მოჰყვნენ. სწორედ მათთან ბრძოლაში დაფუძნდა ავსტრია, ხოლო კარლოს დიდის ლაშქრობების შედეგად გამაგრებული იქნა ვენა. შემდეგ მოვიდნენ მადიარები და უნგრეთის ტერიტორიაზე განლაგებული სტეპური ბანაკებიდან მათი განუწყვეტელი თავდასხმების წყალობით, კიდევ უფრო გაიზარდა ავსტრიული ავანსპორტის მნიშვნელობა და ამით ფოკუსი გადატანილი იქნა გერმანიიდან აღმოსავლეთით, ამ სახელმწიფოს საზღვრისაკენ. ბოლგარები მმართველი კასტა გახდნენ დუნაის სამხრეთით მდებარე მიწებზე, მათ დატოვეს თავიანთი სახელი მსოფლიოს რუქაზე, თუმცა მათი ენა გაითქვიფა სლავი ქვეშევრდომების ენაში. სავარაუდოა, რომ ყველაზე ხანგრძლივი და ეფექტური იყო რუსეთის სტეპებში ხაზარების განსახლება, რომლებიც თანამედროვენი იყვნენ არაბების დიდი მოძრაობისა: არაბი გეოგრაფები იცნობდნენ კასპიის ანუ ხაზარეთის ზღვას. მაგრამ, საბოლოოდ, მონღოლეთიდან მოვიდნენ ახალი ურდოები და ორასი წლის მანძილზე რუსული მიწები, განლაგებული ტყეში, მითითებული ტერიტორიების ჩრდილოეთით, ხარკს უხდიდნენ მონღოლთა ხანებს „სტეპიდან“; ამრიგად, რუსეთის განვითარება შეჩერებული და დამახინჯებული იქნა სწორედ იმ დროს, როდესაც დანარჩენი ევროპა სწრაფად მიაბიჯებდა წინ.

უნდა შევნიშნოთ აგრეთვე, რომ მდინარეები, რომლებიც ამ ტყეებიდან შავი და კასპიის ზღვებისკენ მიემართებოდნენ, კვეთენ მომ-

თაბარეთა სტეპის გზებს; დროდადრო ამ მდინარეების დინების გასწვრივ ადგილი ქონდა შემთხვევით მოძრაობებს ამ მხედრების გადაადგილებათა საპირისპირო მიმართულებით. მაგალითად, ბერძნული ეკლესიის მისიონერები დნეპრს აჰყვნენ კიევამდე იმის მსგავსად, როგორც ცოტა ხნით ადრე ჩრდილოეთელი ვარიაგები დაეშვნენ იმავე მდინარით კონსტანტინეპოლის გზაზე. მაგრამ კიდევ უფრო ადრე გოთების გერმანული ტომი მოკლე ხნით გამოჩნდა დნესტრის ნაპირზე, გაიარა მთელი ევროპა ბალტიის სანაპიროებიდან იმავე სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. თუმცა, ეს ყოველივე წარმავალი ეპიზოდებია, რომლებიც ვერ აქარწყლებენ უფრო ფართო განზოგადოებებს. ათი საუკუნის მომთაბარე მხედრების რამდენიმე ტალღა გამოდიოდა აზიიდან ურალსა და კასპიის ზღვას შორის არსებული ფართო გასასვლელით, გადაკვეთდა რუსეთის სამხრეთის ღია სივრცეს და მუდმივ საცხოვრებელს პოულობდა უნგრეთში, ევროპის შუაგულში, რითაც მეზობელი ხალხების ისტორიაში განუწყვეტელი დაპირისპირების მომენტი შეჰქონდათ: ასე იყო რუსების, გერმანელების, ფრანგების, იტალიელების და ბიზანტიელი ბერძნების მიმართ. ის გარემოება, რომ ისინი სტიმულს აძლევდნენ ჯანსაღ და მძლავრ რეაქციას დამანგრეველი ოპოზიციის ნაცვლად, ფართოდ გავრცელებული დესპოტიზმის დროს, შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ მათი სახელმწიფოს მობილურობა განპირობებული იყო სტეპის მიერ და გარდუვალად ქრებოდა გარშემო მთებისა და ტყეების გაჩენის შედეგად.

სახელმწიფოს მსგავსი მობილურობა მეზღვაურ-ვიკინგებისთვისაც იყო დამახასიათებელი. დაეშვნენ რა სკანდინავიიდან ევროპის სამხრეთ და ჩრდილოეთ სანაპიროზე, სამდინარო გზების გამოყენებით, მისი ტერიტორიის სიღრმეშიც შეაღწიეს. მაგრამ მათი მოქმედების მასშტაბი შეზღუდული იყო, რადგანაც, სიმართლე რომ ვთქვათ, მათი ხელისუფლება ვრცელდებოდა მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებოდნენ წყალს.

ამრიგად, ევროპის ბინადარი მოსახლეობა მარწუხებში მოექცა აღმოსავლეთიდან აზიელ-მომთაბარეებსა და სამი მხრიდან მოწოლილ ზღვის ყაჩაღებს შორის. თავისი ბუნების წყალობით არცერთ მხარეს არ შეეძლო დაეჯაბნა მეორე, ასე რომ ორივენი მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე. უნდა აღინიშნოს, რომ სკანდინავების ფორმირებადი ზეგავლენა მეორე ადგილზე იდგა მომთაბარეთა ანალოგიური ზეგავლენის შემდეგ, რადგანაც სწორედ მათი წყალობით ინგლისმა და საფრანგეთმა დაიწყეს გრძელი გზა გაერთიანებისკენ, მაშინ როდესაც ერთიანი იტალია დაეცა ვიკინგთა დარტყმების შედეგად. ოდესღაც, დიდი ხნის წინ, რომს შეეძლო თავისი მოსახლეობის მობილიზება თავისი გზების გამოყენებით, მაგრამ ამჟამად რომის გზები გავერანებული იყო და არ უვლიდნენ მეთვრამეტე საუკუნემდე.

როგორც ჩანს, ჰუნების შემოსევაც კი სულაც არ ყოფილა პირველი ამ „აზიურ“ სერიაში. ჰომეროსისა და ჰეროდოტეს მონათხრობიდან სკვითები, რომლებიც ცხენის რძით იკვებებოდნენ, ალბათ ასეთივე ცხოვრების წესს ეწეოდნენ და, სავარაუდოა, განეკუთვნებოდნენ იმავე რასას, რასაც სტეპის უფრო მოგვიანო ხანის ბინადარნი. კელტურ ელემენტებს ვხვდებით მდინარეების - დონის, დონეცის, დნეპრის, დნესტრის და დუნაის სახელწოდებებში. თუმცა არა გავს, რომ კელტები მოვიდნენ ჩრდილოეთის ტყეებიდან, მომდევნო დროის გოთებისა და ვარიაგების მსგავსად. და მაინც, მოსახლეობის უზარმაზარი სოლი, რომელთაც ანთროპოლოგები ბრახიკეფალებს უწოდებენ, დასავლეთისკენ განდევნილი ბრახოკეფალური აზიიდან ცენტრალური ევროპის გავლით საფრანგეთამდე, სავარაუდოა, რომ დამკვიდრდა დოლიხოკეფალური მოსახლეობის ჩრდილოურ, დასავლურ და სამხრეთის ჯგუფებს შორის და, სავსებით შესაძლებელია, რომ აზიური წარმოშობის იყოს.

ამავე დროს, აზიის გავლენა ევროპაზე შეუმჩნეველია იმ მომენტამდე, რაზედაც ჩვენ ლაპარაკს ვიწყებთ - მეცამეტე საუკუნის მონღოლთა შემოჭრამდე. თუმცა, სანამ ჩვენ გავაანალიზებდეთ ფაქტებს,

რომლებიც ყოველივე ამას ეხება, სასურველია შევცვალოთ ჩვენი „ევროპული“ თვალსაზრისი ისე, რომ შეგვეძლოს ძველი სამყაროს მთლიანობაში წარმოდგენა.

რადგანაც ნალექების რაოდენობა ზღვაზეა დამოკიდებული, უდიდესი სახმელეთო მასივების შუაგული კლიმატური თვალსაზრისით საკმაოდ მშრალია. სწორედ ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მსოფლიო მოსახლეობის ორი მესამედი თავმოყრილია შედარებით პატარა რეგიონებში, რომლებიც განლაგებულია დიდი კონტინენტების განაპირას - ევროპაში ატლანტიის ოკეანესთან, ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებთან - ინდოეთსა და ჩინეთში. მთელ ჩრდილოეთ აფრიკაში, წვიმების პრაქტიკულად არარსებობის გამო, თითქმის დაუსახლებელი მიწების ფართო ზოლია გადაჭიმული. ცენტრალური და სამხრეთ აფრიკა თავისი ისტორიის დიდი ნაწილის მანძილზე ისევე ჩამოცილებული იყო ევროპისა და აზიისაგან, როგორც ამერიკა ავსტრალიასთან ერთად. სინამდვილეში, ევროპის სამხრეთი საზღვარი უფრო საჰარა იყო და არისმ ვიდრე ხმელთაშუაზღვისპირეთი, რადგანაც სწორედ ეს უდაბნო აცალკევებს თეთრკანიან ადამიანებს შავკანიანებისაგან.

ევროპა-აზიის უდიდესი მიწები, მოქცეული ოკეანესა და უდაბნოს შორის, მოიცავს 21 მლნ. კვადრატულ მილს, ე.ი. დედამიწის სფეროს ყველა მიწის ნახევარს მოიცავს, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ საჰარასა და არაბეთის უდაბნოებს. არსებობს აზიის მთელ ტერიტორიაზე გაფანტული მრავალი შორეული უდაბური რაიონები, სირიიდან და სპარსეთიდან დაწყებული ჩრდილო-აღმოსავლეთით მანჯურიის მიმართულებით დამთავრებული, მაგრამ მათ შორის არაა ისეთი უდაბნო, რომლის საჰარასთან შედარება შეიძლებოდეს.

მეორე მხრივ ევრო-აზია მდინარეთა დინების საკმაოდ ღირშესანიშნავი განაწილებით ხასიათდება. ჩრდილოეთისა და ცენტრის დიდ ნაწილზე ეს მდინარეები პრაქტიკულად უსარგებლო იყო გარე სამყაროსთან ადამიანთა ურთიერთობისათვის. ვოლგა, ოკსი, იაკსარტი მლაშე ტბებში ჩაედინებიან; ობი, ენისეი და ლენა - ცივ ჩრდილო-

ეთის ოკეანეში. მსოფლიოში არსებობს ექვსი დიდი მდინარე. ამავე რაიონებში არის მრავალი, შედარებით უფრო პატარა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი მდინარე, ისეთები, როგორიცაა ტარიმი და ჰელმუნდი, რომლებიც ასევე არ ერთვიან ოკეანეს.

ამრიგად, ევრო-აზიის ცენტრი, უდაბნოს ლაქებით დაფარული, მთლიანობაში სტეპური ადგილია, რომელიც ფართო, თუმცა ხშირად მწირ საძოვრებს წარმოადგენს, სადაც არც თუ ისე ცოტაა მდინარეებით ნასაზრდოები ოაზისები, მაგრამ აუცილებელია კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ, რომ მთელი ეს ტერიტორია მაინც არაა გადაკვეთილი ოკეანიდან მომავალი საზღვაო გზებით. სხვა სიტყვებით, ამ დიდ არეალში ყველა პირობა არსებობს მეჩხერი, მაგრამ მთლიანობაში ძალზედ მნიშვნელოვანი მოსახლეობის არსებობისათვის - კერძოდ, მომთაბარეებისა, რომლებიც ცხენებითა და აქლემებით გადაადგილდებიან. ჩრდილოეთიდან მათი სამფლობელო შემოზღუდულია სუბარქტიკული ტყეებისა და ჭაობების ფართო სარტყელით, სადაც, სასოფლო-სამეურნეო დასახლებათა განვითარებისათვის კლიმატი ძალზედ მკაცრია, დასავლეთი და აღმოსავლეთი დაბოლოებების გამოკლებით. აღმოსავლეთით ტყეები სამხრეთისაკენ - ამურის გასწვრივ, მანჯურიაში - წყნარი ოკეანის სანაპირომდე მიდის. იგივეა დასავლეთში; წინაისტორიულ ევროპაში ტყეებს ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ეკავათ. ამრიგად, შეზღუდული ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან, სტეპები გადაჭიმულია უწყვეტად 4 ათას მილზე უნგრეთის პუშტიდან მცირე გობამდე მანჯურიაში და, უკიდურესი დასავლეთის დაბოლოების გამოკლებით, მას არ გადაკვეთავენ მდინარეები, რომლებიც მათთვის მისაწვდომ ოკეანეში ჩაედინებოდნენ. ასე რომ ჩვენ შეგვიძლია მხედველობაში არ მივიღოთ ამ ცოტა ხნის წინანდელი ძალისხმევა ვაჭრობის განსავითარებლად ობისა და ენისეის შესართავში. ევროპაში, დასავლეთ ციმბირში და დასავლეთ თურქესტანში სტეპი გადაჭიმულია დაახლოებით ზღვის დონის სიმაღლეზე, ზოგან კი უფრო დაბლაც. შემდგომ აღმოსავლეთისკენ, მონღოლეთში, იგი იშლება პლატოს სახით; მაგრამ გა-

დასვლა ერთი დონიდან მეორეზე, ცენტრალური გვალვიანი მიწების შიშველი, სწორი და დაბალი რაიონების გავლით, მნიშვნელოვან სიძნელეს არ წარმოადგენს.

ურდოები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, თავს დაატყდნენ ევროპას მე-14 საუკუნის შუახანებში, საკუთარ ძალებს თავს უყრიდნენ აქედან 3000 მილის დაშორებით, ზემო მონღოლეთის სტეპებში. პოლონეთის, სილეზიის, მორავიის, უნგრეთის, ხორვატიის და სერბიის აოხრება, რაც რამდენიმე წლის მანძილზე გრძელდებოდა, მხოლოდ ყველაზე შორეული და იმავდროულად სწრაფწარმავალი შედეგები იყო აღმოსავლეთის მომთაბარეთა დიდი მოძრაობისა, რომელიც ჩინგიზ-ხანის სახელთან ასოცირდება.

მაშინ როდესაც ოქროს ურდომ დაიკავა ყივჩაღთა სტეპი არალის ზღვიდან ურალის ქედსა და კასპიას შორის არსებული გასასვლელით კარპატების მთის წინებამდე, მეორე ურდომ, რომელიც დაეშვა სამხრეთ-დასავლეთით კასპიის ზღვასა და გინდიყუშს შორის სპარსეთში, მესოპოტამიასა და სირიაშიც კი, დააფუძნა ილხანთა სახელმწიფო. მესამე ურდომ დაარტყა ჩრდილოეთ ჩინეთს და დაეუფლა მას. ინდოეთი და მანგი, ანუ სამხრეთ ჩინეთი დროებით დაიცვა ტიბეტის მთების შესანიშნავმა ბარიერმა, რომლის ეფექტურობასაც, ალბათ, მსოფლიოში ვერაფერი შეედრება, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ საჰარასა და პოლარულ ყინულებს. მაგრამ უფრო გვიანდელ პერიოდში, მარკო პოლოს დროს, მანგუს მიერ და თემურ ლენგის მიერ ინდოეთის შემთხვევაში, ეს დაბრკოლება გარშემოვლილი იქნა.

მოხდა ისე, რომ ამ ცნობილ და კარგად აღწერილ შემთხვევაში, ძველი სამყაროს მთელმა მოსახლეობამ, ადრე თუ გვიან, თავის თავზე გამოსცადა სტეპის სივრცეებში ჩასახული მობილური სახელმწიფოს ექსპანსიის სიმძლავრე. რუსეთი, სპარსეთი, ინდოეთი და ჩინეთი ან ხარკს იხდიდნენ, ან მონღოლურ დინასტიებს ღებულობდნენ. მცირე აზიაში ჩასახული თურქთა სახელმწიფოც კი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ითმენდა ამ უღელს.

ევროპის მსგავსად, ჩანაწერები უფრო ადრეული შემოსევების შესახებ შემონახულია ევრო-აზიის სხვა მოსაზღვრე მიწებშიც. ჩინეთი არაერთხელ დაუმორჩილებია ჩრდილოეთიდან მოსულ დამპყრობლებს. სულ ცოტა, ერთმა შემოსევამ სპარსეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებული როლი შეასრულა მთელი დასავლეთი ცივილიზაციის ისტორიაში. მონღოლების მოსვლამდე სამასი თუ ოთხასი წლით ადრე მცირე აზიიდან გამოჩენილი თურქ-სელჯუკები მოედვნენ უდიდეს სივრცეს, რომელსაც პირობითად ხუთ ზღვას შორის განლაგებული რეგიონი შეიძლება ვუწოდოთ - კასპიის, შავი, ხმელთაშუა, წითელი ზღვის და სპარსეთის ყურეს შორის. ისინი ქერმანში, ხადამანში, მცირე აზიაში გამაგრდნენ, ბაღდადსა და დამასკოში დაამხეს არაბების („სარაცინების“) ბატონობა. გაჩნდა მათი დასჯის აუცილებლობა - იერუსალიმში მიმავალი მლოცველებისადმი ცუდი მოპყრობის გამო. სწორედ ამიტომ ქრისტიანულმა სამყარომ ლაშქრობების მთელი სერია მოაწყო, რომლებიც ჯვაროსნული ლაშქრობების საერთო სახელითაა ცნობილი. თუმცა ევროპელებმა ვერ შეძლეს დასახული ამოცანების მიღწევა, მაგრამ ამ მოვლენებმა ისე ააღელვეს და გააერთიანეს ევროპა, რომ ჩვენ სავსებით შეგვიძლია ეს თანამედროვე ისტორიის დასაწყისად ჩავთვალოთ - ეს იყო კიდევ ერთი მაგალითი ევროპის წინსვლისა, რომელიც სტიმულირებული იყო საპასუხო რეაქციის აუცილებლობით იმ ზეწოლაზე, რასაც მასზე აზიის ცენტრიდან ახდენდნენ.

ჩვენს მიერ ამგვარად მიღებული ევრო-აზიის ცნება გულისხმობს ვრცელ მიწებს, რომელიც ჩრდილოეთიდან გარშემორტყმულია ყინულებით, ყველგან დასერილია მდინარეებით და 21 მლნ. კვადრატულ მილს შეადგენს, ე.ი. სამჯერ უფრო მეტად აღემატება ჩრდილოეთ ამერიკას, რომლის ცენტრალური და ჩრდილოეთი რაიონები 9 მლნ. კვ. მილს შეადგენს და ორჯერ უფრო მეტად აღემატება ევროპის ტერიტორიას. მაგრამ მას არ გააჩნია ოკეანეზე გამავალი დამაკმაყოფილებელი საზღვაო გზები. თუმცა, მეორე მხრივ, სუბარქტიკული

ტყეების გამოკლებით, ის მთლიანად გამოსადეგია ყველა სახის მომთაბარეთა გადაადგილებისათვის.

ამ ზონის დასავლეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით არის სასაზღვრო რეგიონები, რომლებიც ფართო ნახევარმთვარეს შეადგენენ და ზღვაოსნობისთვის მისაწვდომი არიან. ფიზიკური მოწყობის შესაბამისად, ამ რაიონების რიცხვი ოთხს უდრის, ამასთან სულაც არაა ნაკლებადმნიშვნელოვანი, რომ პრინციპში ისინი ემთხვევიან, შესაბამისად, ოთხი დიდი რელიგიის - ბუდიზმის, ბრახმანიზმის, ისლამისა და ქრისტიანობის გავრცელების სფეროებს. პირველი ორი მდებარეობს მუსონების ზონაში, ამასთან ერთი მათგანი მიმართულია წყნარი ოკეანისაკენ, მეორე - ინდოეთის ოკეანესაკენ. მეოთხე, ევროპა, დასავლეთიდან, ატლანტიკიდან მომავალი წვიმებით ირწყვება. ეს სამი რეგიონი, რომელიც ერთად 7 მლნ. კვ. მილზე ნაკლებს შეადგენს, დასახლებულია მილიარდზე მეტი ადამიანით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედით.

მესამე სფერო, რომელიც ხუთი ზღვის ზონას ემთხვევა, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, ახლო აღმოსავლეთის რაიონი, კიდევ უფრო მეტად იტანჯება ტენიანობის ნაკლებობით - აფრიკის სიახლოვის გამო და, ოაზისების გამოკლებით, მეჩხერადაა დასახლებული. გარკვეულწილად, ის ერთმანეთში ახამებს როგორც სასაზღვრო ზონის, ისე ევრო-აზიის ცენტრალური რაიონის ნიშნებს. ეს ზონა ტყეებს მოკლებულია, ზედაპირი უდაბნოებითაა დასერილი, ასე რომ იგი სავსებით გამოსადეგია მომთაბარეთა ცხოვრებისათვის. სასაზღვრო რაიონის ნიშნები იქ იმდენად ჩანს, რამდენადაც საზღვაო ყურეები და ოკეანეში ჩამავალი მდინარეები მას საზღვაო სახელმწიფოებისათვის მისაწვდომს ხდიან, თუმცა საშუალებას აძლევენ თვითონაც განახორციელონ ზღვაზე ბატონობა. აი ამიტომ აქ პერიოდულად წარმოიშობა იმპერიები, რომლებიც „სასაზღვრო“ რანგს განეკუთვნებიან და მის საფუძველს შეადგენდა ეგვიპტისა და ბაბილონის დიდი ოაზისების სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობა.

გარდა ამისა, საზღვაო გზებით ისინი დაკავშირებულნი იყვნენ ხმელთაშუა ზღვასა და ინდოეთის ცივილიზებულ სამყაროსთან. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს იმპერიები ექცეოდნენ არნახული მიგრაციების ჯაჭვის მოქმედების ზონაში, რომელსაც ანხორციელებდნენ ცენტრალური აზიიდან მომავალი სკვითები, თურქები და მონღოლები, სხვები კი ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხების ძალისხმევის შედეგი იყო, რომელთაც სურდათ ხელთ ეგდოთ დასავლეთიდან აღმოსავლეთ ოკეანისკენ მიმავალი სახმელეთო გზები.

ეს ადგილი - ყველაზე სუსტი რგოლია ამ ადრეული ცივილიზაციებისათვის, რადგანაც სუეცის ყელი, რომელიც ერთმანეთისგან ყოფს დასავლეთისა და აღმოსავლეთის საზღვაო სახელმწიფოებს და სპარსეთის გვალვიანი უდაბნოები, გადაჭიმული ცენტრალური აზიიდან სპარსეთის ყურემდე, მუდმივ შესაძლებლობას წარმოადგენდნენ მომთაბარე გაერთიანებებისათვის მიეღწიათ ოკეანის სანაპიროსათვის, რომელიც ყოფდა, ერთი მხრივ, ინდოეთსა და ჩინეთს, მეორე მხრივ, თვითონ მათ ხმელთაშუა ზღვის სამყაროსაგან. ყოველთვის, როდესაც ეგვიპტის, სირიისა და ბაბილონის ოაზისები დაცემის გზას ადგებოდნენ, სტეპების მცხოვრებნი შესაძლებლობას ღებულობდნენ ირანის დაბლობები ფორპოსტის სახით გამოეყენათ, საიდანაც მათ შეეძლოთ დარტყმის მიყენება, პენჯაბის გავლით, პირდაპირ ინდოეთისათვის, სირიის გავლით, ეგვიპტისათვის, ხოლო ბოსფორსა და დარდანელზე გადებული განადგურებული ხიდით - პირდაპირ უნგრეთისათვის. შიდა ევროპისაკენ მიმავალ მაგისტრალურ გზაზე იდგა ვენა, რომელიც მომთაბარეთა თავდასხმებს უპირისპირდებოდა, როგორც რუსული სტეპებიდან პირდაპირი გზით მომავალთ, ისე შემოვლითი გზებით - შავი და კასპიის ზღვების სამხრეთიდან შემოღწეულთ.

ამრიგად, ჩვენ ვაჩვენეთ თვალსაჩინო განსხვავება ახლო აღმოსავლეთში არაბულ (სარაცინულ) და თურქულ კონტროლს შორის. არაბები სემიტური რასის განშტოებაა, რომლებიც დასახლებული იყვნენ ნილოსსა და ეფრატის დაბლობებსა და აზიის სამხრეთ პატარა

ოაზისებში. გამოიყენეს რა ამ მიწის მიერ მიცემული ორი შესაძლებლობა - ცხენები და აქლემები, ერთი მხრივ და ხომალდები მეორე მხრივ - მათ უდიდესი იმპერია შექმნეს. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში მათი ფლოტი ესპანეთამდე აკონტროლებდა მთელ ხმელთაშუა ზღვას, აგრეთვე ინდოეთის ოკეანეს მალაიი კუნძულებამდე. ამ სტრატეგიული თვალსაზრისით ცენტრალური პოზიციებიდან, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ოკეანეებს შორის მდებარეობს, ისინი ცდილობდნენ ძველი სამყაროს მთელი სასაზღვრო რაიონების დაპყრობას, რაღაცით იმეორებდნენ ალექსანდრე მაკედონელს და ასწრებდნენ ნაპოლეონს. მათ შეძლეს სტეპსაც კი დამუქრებოდნენ. მაგრამ არაბული ცივილიზაცია თურქებმა - წარმართმა თურანელებმა დაანგრიეს, რომლებიც არაბეთს, ევროპას, ინდოეთსა და ჩინეთს დაშორებულნი, აზიის შუაგულში ბინადრობდნენ.

ოკეანის ზედაპირზე გადაადგილება აქლემებითა და ცხენებით გადაადგილების ბუნებრივი მეტოქე იყო, რაც კონტინენტის შიგნით ხორციელდებოდა. სწორედ საოკეანო მდინარეების ათვისებას ემყარებოდა ცივილიზაციების პოტამიური სტადია: ჩინურის იანძიზე, ინდურის განგზე, ბაბილონურის ევფრატზე, ეგვიპტურის ნილოსზე. ხმელთაშუა ზღვის ათვისებას ემყარებოდა ის, რასაც უწოდებენ ცივილიზაციის „საზღვაო“ სტადიას, ბერძნებისა და რომაელების ცივილიზაციები. არაბები და ვიკინგები ოკეანეების სანაპიროს მართვას სწორედ იმის წყალობით ახერხებდნენ, რომ ცურვა შეეძლოთ.

კეთილი იმედის კონცხის შემოვლით ინდოეთისკენ მიმავალი გზის აღმოჩენის უმნიშვნელოვანესი შედეგი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ერთმანეთთან აკავშირებდა ევრო-აზიის დასავლურ და აღმოსავლურ საკაბოტაჟო გემების მიმოსვლას, თუნდაც ასეთი შემოვლითი გზით და ამგვარად, გარკვეულწილად ნეიტრალდებოდა სტეპის მკვიდრთა მიერ დაკავებული ცენტრალური მდგომარეობის სტრატეგიული უპირატესობა, მათზე ზურგიდან ზეწოლით.

კოლუმბიდ თაობის დიდი ზღვაოსნების მიერ დაწყებულმა რევოლუციამ ქრისტიანულ სამყაროს არაჩვეულებრივად ფართო მობი-

ლურობა მიანიჭა, თუმცა სასურველ დონეს ვერ მიაღწია. ერთიანი და განფენილი ოკეანე, რომელიც გარს არტყია ერთმანეთისგან განცალკევებულ და კუნძულოვან მიწებს, უეჭველია, იმ გეოგრაფიულ პირობას წარმოადგენს, რომელმაც უზრუნველყო ზღვაზე და თანამედროვე სამხედრო-საზღვაო სტრატეგიასა და პოლიტიკის მთელ თეორიაში სარდლობის კონცენტრაციის უმაღლესი ხარისხი, რის შესახებაც დაწვრილებით წერდნენ კაპიტანი მეჰენი და მ-რ სპენსერ უილკინსონი.

ყოველივე ამის პოლიტიკური შედეგი ევროპასა და აზიას შორის ურთიერთობათა შეცვლაში მდგომარეობს. არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ შუა საუკუნეებში ევროპა ჩაკეტილი იყო სამხრეთით გაუვალ ქვიშებს, დასავლეთით შეუცნობელ ოკეანეს, ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ყინულებსა ან უკიდეგანო ტყეებს შორის და აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მას ემუქრებოდა მომთაბარეთა არაჩვეულებრივი მობილურობა. და ახლა იგი ამაღლდა მსოფლიოზე, მიაღწია ოცდათვრამეტ ზღვამდე და სხვა ტერიტორიებამდე და თავისი გავლენა გაავრცელა ევროაზიულ კონტინენტურ სახელმწიფოთა გარშემო, რომლებიც უკანასკნელ დრომდე მის არსებობას ემუქრებოდნენ. წყლის სივრცეებს შორის აღმოჩენილ თავისუფალ მიწებზე იქმნებოდა ახალი ევროპები და იმად, რაც ადრე ევროპელებისთვის იყო ბრიტანეთი და სკანდინავია, ახლა ხდებოდა ამერიკა და ავსტრალია და, გარკვეულწილად, საჰარის იქითა აფრიკაც, რომელიც ახლა ევრო-აზიას ესაზღვრებოდა. ბრიტანეთი, კანადა, შეერთებული შტატები, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია და იაპონია თავისებურ რგოლს წარმოადგენენ, რომელიც ვაჭრობისა და საზღვაო ძალებისათვის განკუთვნილი კუნძულოვანი ბაზებისაგან შედგება და მიუწვდომელია ევრო-აზიის სახმელეთო სახელმწიფოებისათვის.

მიუხედავად ამისა, ისინი აგრძელებენ არსებობას და ცნობილმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ხასი გაუსვეს მათ მნიშვნელობას. სანამ დასავლეთ ევროპის „საზღვაო“ ხალხები ოკეანის ზედაპირს თავისი

გემებით ჰფენდნენ, შორეული მიწებისაკენ მიემართებოდნენ და ამა თუ იმ სახით ხარკს ადებდნენ აზიის ოკეანური სანაპიროს მცხოვრებლებს, რუსეთმა დარაზმა კაზაკები და გამოვიდა რა თავის ჩრდილოეთური ტყეებიდან, კონტროლი დაამყარა სტეპზე, გამოიყვანა საკუთარი მომთაბარენი მომთაბარე თათრების წინააღმდეგ. ტიუდორების ეპოქა, რომელმაც საზღვაო სივრცეებზე დასავლეთ ევროპის ექსპანსია იხილა, იმასაც უყურებდა, თუ რუსეთის სახელმწიფო როგორ მიიწევდა მოსკოვიდან ციმბირის მიმართულებით. მხედართა ნახტომი მთელი აზიის გავლით აღმოსავლეთისაკენ იყო მოვლენა, რომელსაც ისეთივე პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა, როგორც კეთილი იმედის კონცხის გადალახვას, თუმცა ამ ორ მოვლენას დიდი ხნის მანძილზე არ ადარებდნენ ერთმანეთს.

შესაძლოა, ისტორიაში ყველაზე შთამბეჭდავი დამთხვევა იმაში მდგომარეობდა, რომ ევროპის როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო ექსპანსია გარკვეული აზრით აგრძელებდა ბერძნებისა და რომაელების ძველ დაპირისპირებას. რამდენიმე წარუმატებლობას ამ სფეროში გაცილებით უფრო შორსმიმავალი შედეგები ჰქონდა, ვიდრე რომის მიერ ბერძენთა გალათინების წარუმატებელ მცდელობას. ტევტონები გაცივილიზდნენ და ქრისტიანობა მიიღეს რომაელებისაგან, სლავებმა კი - ბერძნებისაგან. სწორედ რომან-ტევტონები შემდგომ ზღვებზე დაცურავდნენ, ბერძენ-სლავები კი სტეპებში დაჯირითებდნენ და თურანულ ხალხებს იმორჩილებდნენ. ასე რომ, თანამედროვე სახმელეთო სახელმწიფო საზღვაოსაგან არა მარტო მატერიალური პირობებითა და მობილურობით, არამედ იდეალების წყაროთიც კი განსხვავდება.

კაზაკების კვალდაკვალ, სცენაზე გამოჩნდა ჩრდილოეთის ტყეებში მარტოობაში მშვიდად მზარდი რუსეთი. არაჩვეულებრივი შინაგანი მნიშვნელობის მეორე ცვლილებას, რაც გასულ საუკუნეში მოხდა ევროპაში, წარმოადგენდა რუსი გლეხების სამხრეთისაკენ მიგრაცია. ასე რომ, თუკი ადრე სოფლის მეურნეობით დაკავებული დასახლებანი მთავრდებოდა ტყეების საზღვარზე, ამჟამად მთელი ევროპული

რუსეთის მოსახლეობის ცენტრი ამ საზღვრის სამხრეთით მდებარეობს, პურის მინდვრებს შორის, რომელთაც სტეპები შეცვალეს. სწორედ ამგვარად წარმოიშვა არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანი ქალაქი ოდესა, რომელიც წმინდა ამერიკული სიჩქარით განვითარდა.

ჯერ კიდევ ერთი თაობის წინ ისე ჩანდა, რომ ორთქლით მავალმა გემმა და სუეცის არხმა გაადიდეს საზღვაო სახელმწიფოთა მობილურობა სახმელეთოსთან შედარებით. რკინიგზები უმთავრესად ასრულებდნენ საოკეანო ვაჭრობის დამატების როლს. მაგრამ ამჟამად ტრანსკონტინენტური რკინიგზები ცვლიან სახმელეთო სახელმწიფოთა მდგომარეობას და არსად ისინი არ მუშაობენ მეტი ეფექტურობით, როგორც ევრო-აზიის დახურულ ცენტრალურ რაიონებში, რომლის ფართო სივრცეებზეც ვერ შეხვდები მათი მშენებლობისათვის გამოსადეგ თუნდაც ერთ მორს ან ქვას. რკინიგზები სტეპში არნახულ სასწაულს ახდენენ, რადგანაც მათ უშუალოდ შეცვალეს ცხენი და აქლემი, ასე რომ განვითარების აუცილებელი სტადია - შარაგზა - აქ გამოტოვებული იქნა.

ვაჭრობასთან დაკავშირებით არ უნდა დავივიწყოთ, რომ საოკეანო გზა თუმცა შედარებით იაფია, საქონელს, ჩვეულებრივ, ოთხი ეტაპის გავლით ატარებს - ფაბრიკა-დამამზადებელი, გამგზავნის გემთმისადგომი, მიმღების გემთმისადგომი და საცალო ვაჭრობის საწყობი, მაშინ როდესაც კონტინენტური რკინიგზა მიდის დამამზადებლის ფაბრიკიდან იმპორტიორის საწყობში. ამრიგად, შუალედურ საოკეანო ვაჭრობას მოსდევს, სხვა თანაბარ პირობებში, კონტინენტის გარშემო შეღწევის ზონის ფორმირება. ამ უკანასკნელის შიდა საზღვარი უხეშად აღინიშნება ხაზით, რომლის გასწვრივაც ოთხი ოპერაციის საოკეანო გადაზიდვის და მეზობელი სანაპიროს სარკინიგზო გადაზიდვის ფასი უტოლდება ორი ოპერაციისა და კონტინენტურ რკინიგზაზე გადაზიდვის ფასს.

რუსეთის რკინიგზები გადაჭიმულია 6000 მილის სიგრძეზე დასავლეთით ვერბალენიდან აღმოსავლეთით ვლადივოსტოკამდე. რუსეთის არმია მანჯურიაში მობილური სახმელეთო ძლიერების

შესანიშნავი მოწმობაა, იმის მსგავსად, როგორც ბრიტანეთი წარმოადგენს სამხრეთ აფრიკაში საზღვაო სახელმწიფოს ძლიერების ნიმუშს. რა თქმა უნდა, ტრანსციმბირის მაგისტრალი კვლავ ერთადერთად რჩება და სრულიადაც არაა უსაფრთხო კავშირის ხაზი, მაგრამ ამ საუკუნის დამთავრებამდე მთელი აზია დაიფარება რკინიგზების ქსელით. რუსეთის იმპერიისა და მონღოლეთის ტერიტორიაზე სივრცე იმდენად დიდია, ხოლო მათი პოტენციალი მოსახლეობის, მარცვლის, ბამბის, სათბობის და ლითონის თვალსაზრისით იმდენად მაღალია, რომ აქ, უეჭველია, განვითარდება თავისი, თუნდაც რამდენადმე დაშორებული, უდიდესი ეკონომიკური სამყარო, მიუწვდომელი საოკეანო ვაჭრობისათვის.

ისტორიის ძირითად ტენდენციებზე თვალის მოკლე გადავლებით განა მკაფიოდ არა ჩანს მუდმივობა გეოგრაფიული თვალსაზრისით? განა არ არის ღერძულა რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში ევრო-აზიის ეს ვრცელი რაიონი, მიუწვდომელი გემებისათვის, მაგრამ მისაწვდომი ძველად მომთაბარეებისათვის, რომელიც ამჟამად უნდა დაიფაროს რკინიგზის ქსელით? აქ იყო და აგრძელებენ არსებობას კარგი (თუნდაც შეზღუდული გარკვეული ფაქტორით) პირობები სამხედრო და სამრეწველო სახელმწიფოების განვითარებისათვის. რუსეთი ცვლის მონღოლეთის იმპერიას. მისმა ზეწოლამ ფინეთზე, სკანდინავიაზე, პოლონეთზე, თურქეთზე, სპარსეთზე, ინდოეთსა და ჩინეთზე შეცვალა ერთი ცენტრიდან მომდინარე სტეპის მკვიდრთა თავდასხმები. ამ სამყაროში მას ცენტრალური სტრატეგიული მდებარეობა უკავია, რომელიც ევროპაში გერმანიას ეკუთვნის. მას შეუძლია მიაყენოს და იმავდროულად მიიღოს დარტყმები ყველა მიმართულებიდან, ჩრდილოეთის გამოკლებით. მისი მობილურობის საბოლოო განვითარება, რაც რკინიგზებს უკავშირდება, მხოლოდ დროის საკითხია. და არავითარი სოციალური რევოლუცია არ შეცვლის რუსეთის დამოკიდებულებას მისი არსებობის დიდი გეოგრაფიული საზღვრებისადმი. საღად ესმით რა თავისი ძლიერების ფარგლები,

რუსეთის მმართველებმა უარი თქვეს ალიასკაზე, რადგანაც, ფაქტობრივად, რუსეთის პოლიტიკის წესს წარმოადგენს არ ფლობდნენ არანაირ ზღვისიქითა ტერიტორიებს, ზუსტად ისევე როგორც ბრიტანეთისთვის - მართავდეს ოკეანის სივრცეებს.

ამ ღერძული რაიონის ფარგლებს გარეთ არსებობს დიდი შიდა ნახევარმთვარე, რომელსაც შეადგენს გერმანია, ავსტრია, თურქეთი, ინდოეთი და ჩინეთი და გარეთა ნახევარმთვარე - ბრიტანეთი, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, შეერთებული შტატები, კანადა და იაპონია. ბალანსის ახლანდელ მდგომარეობაში ღერძული სახელმწიფო, რუსეთი, არაა პერიფერიული სახელმწიფოების თანაბარი ძალის და აქ საპირისწონეს სახით შეიძლება საფრანგეთი გამოვიდეს. სულ ახლახან აღმოსავლეთის სახელმწიფოდ გადაიქცა შეერთებული შტატები. ძალთა ბალანსზე ევროპაში ის უშუალოდ კი არა, არამედ რუსეთის მეშვეობით ახდენს გავლენას და სრულიად უეჭველია, რომ ის გაიყვანს პანამის არხს იმისათვის, რომ გადააქციოს მისისიპისა და ატლანტიკის რესურსები წყნარ ოკეანეში გადატანისათვის მისაწვდომად. ამ თვალსაზრისით, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის რეალური გამყოფი ხაზი სწორედ ატლანტიკაში უნდა ვეძიოთ.

ძალთა ბალანსის დარღვევა ღერძულა სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაც გამოიხატება ევრო-აზიის სასაზღვრო ტერიტორიაზე მის ექსპანსიაში, საშუალებას აძლევს თავისი ურიცხვი კონტინენტური რესურსები ფლოტის ასაგებად გამოიყენოს. ამის წყალობით მალე ჩვენს წინ მსოფლიო იმპერია წარმოსდგება. ეს შეიძლება მოხდეს, თუკი გერმანია მოისურვებს მოკავშირის სახით რუსეთთან შეერთებას. სწორედ ამიტომ, მსგავსი კავშირის საფრთხემ საფრანგეთს საზღვაო სახელმწიფოებთან ჩახუტებისკენ უნდა უბიძგოს და მაშინ საფრანგეთი, იტალია, ეგვიპტე, ინდოეთი და კორეა შეადგენენ ისეთ ძლიერ გაერთიანებას, რომელშიც ფლოტი მხარს დაუჭერს არმიას, რაც საბოლოო ჯამში აიძულებს ღერძის მოკავშირეებს გაშალონ თავიანთი სახმელეთო ჯარები და მთელი

ძლიერების ზღვებზე კონცენტრაციის საშუალება არ მიეცემათ. თუ მოვიტანთ უფრო მცირე შედარებას, ეს იმას მოგვაგონებს, რაც ველინგტონმა განახორციელა ტორეს ვერდასის ბაზიდან საბრძოლო მოქმედებების დროს. და ხომ არ შეძლებს ინდოეთი, ბოლოს და ბოლოს, ასეთივე როლის შესრულებას ბრიტანეთის იმპერიის სისტემაში? და ეს იდეა ხომ არ უდევს საფუძვლად მისტერ ამერის კონცეფციას, რომელიც ამბობდა, რომ ბრიტანეთისათვის სამხედრო მოქმედებათა ფრონტი გადაჭიმულია კეთილი იმედის კონცხიდან ინდოეთის გავლით იაპონიამდე?

ამ სისტემაზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სამხრეთ ამერიკის უდიდესი შესაძლებლობების განვითარებას. ერთი მხრივ, მას შეუძლია შეერთებული შტატების პოზიციის გაძლიერება, მეორე მხრივ, თუკი, რა თქმა უნდა, გერმანია შეძლებს ქმედითი გამოწვევის შექმნას მონროს დოქტრინისათვის, მათ შეუძლიათ ბერლინი ჩამოაცილონ იმას, რაც მე ავღწერე როგორც ღერძის პოლიტიკა. დიდი სახელმწიფოების რეგიონულ კომბინაციებს აქ მნიშვნელობა არა აქვთ. მე ვამტკიცებ, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით, ისინი ასრულებენ რაღაც წრიული ბრუნვის მსგავსს ღერძის სახელმწიფოს გარშემო, რომელიც ყოველთვის ასე თუ ისე არის დიდი, მაგრამ გარემომცველ სასაზღვრო და კუნძულოვან სახელმწიფოებთან შედარებით შეზღუდული მობილურობა გააჩნია.

მე ყოველივე ამის შესახებ ვლაპარაკობ როგორც გეოგრაფი. პოლიტიკური ძლიერების ნამდვილი ბალანსი კი ყოველ კონკრეტულ მომენტში, უეჭველია, არის, ერთი მხრივ, გეოგრაფიული პირობების შედეგი (აგრეთვე ეკონომიკურის და სტრატეგიულის) და, მეორე მხრივ, დამოკიდებულია კონკურენტი ხალხების რიცხოვნობაზე. თუკი აკურატულად დავითვლით ყოველივე ამის რაოდენობას, მაშინ ჩვენ შევძლებთ წინასწარ ვიწინასწარმეტყველოთ მეტოქეობის შედეგი, იარაღის ძალის გამოყენების გარეშე.

გეოგრაფიული მაჩვენებლები, ადამიანურთან შედარებით, გამოთვლებში უფრო გამოყენებადი და უფრო მუდმივია. აი ამიტომ

ჩვენ, იმედი გვაქვს, ვიპოვოთ ფორმულა, რომლის მიყენებაც თანაბრად იქნება შესაძლებელი წარსულის ისტორიისთვისაც და დღევანდელი პოლიტიკისთვისაც. სოციალური მოძრაობანი ყველა დროში დაახლოებით ერთი და იგივე ფიზიკურ ნიშნებს ატარებდნენ, რადგანაც მე მეეჭვება ის, რომ თანდათანობით მზარდი კლიმატის სიმშრალე, თუკი ეს დასაბუთებული იქნება, ისტორიულ დროში გარემოს ცვლილება აზიასა და აფრიკაში. იმპერიის მოძრაობა დასავლეთისკენ მე მეჩვენება უფრო სასაზღვრო სახელმწიფოების მოკლევადიან ბრუნვად ღერძული რაიონის სამხრეთ-დასავლეთის და დასავლეთის კუთხეების გარშემო. პრობლემები, დაკავშირებული ახლო, შუა და შორეულ აღმოსავლეთთან, დამოკიდებულია არასტაბილურ წონასწორობაზე შიდა და გარეთა დიდ სახელმწიფოებს შორის სასაზღვრო ნახევარმთვარის იმ ნაწილებში, სადაც ადგილობრივი სახელმწიფოები ფაქტობრივად ანგარიშში არ მიიღება.

დასასრულ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ რუსეთის კონტროლის შეცვლა შიდაკონტინენტური კონტროლის რაიმე ახალი სახით არ გამოიწვევს ამ ღერძული პოზიციის მნიშვნელობის შემცირებას. თუკი, მაგალითად, ჩინელები, იაპონელთა დახმარებით, გაანადგურებენ რუსეთის იმპერიას და დაიპყრობენ მის ტერიტორიას, ისინი შექმნიან ყვითელ საფრთხეს მსოფლიოს თავისუფლებისათვის იმით, რომ ოკეანის სივრცეებს უდიდეს კონტინენტურ რესურსებს დაუმატებენ, რითაც მოიპოვებენ იმ უპირატესობას, რაც დღემდე ვერ მიიღო ამ ღერძული რეგიონის რუსმა მეპატრონემ.